სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

09/06/2026

MES 6 26 0000688281

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით პრაქტიკული მოსინჯვის ჩატარების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის, „2026 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის პერიოდის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 17 აპრილის MES 7 26 0000447784 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 აპრილის N 01-05-04/43 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2026 წელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისათვის პრაქტიკული მოსინჯვის კომისიის შემადგენლობა №1 დანართის შესაბამისად.
2. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისათვის პრაქტიკული მოსინჯვა ჩატარდეს 2026 წლის 18 ივნისს 15:00 საათიდან 16:00 საათამდე და 19 ივნისს 17:00 საათიდან 19:00 საათამდე, (მის.: თბილისი, მ. კოსტავას 68, სტუ-ის I კორპუსი).
3. პრაქტიკული მოსინჯვა ჩატარდეს აპლიკანტის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი დონის შესაბამისი თითოეული აქტივობის პრაქტიკული მოსინჯვის გზით.
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფა დაევალოს სტუ-ს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზაზა ბუაჩიძეს.
5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სტუ-ის ვიცე-რექტორს თამარ წერეთელს.
6. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს.
7. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ვიცე-რექტორი
თამარ წერეთელი